



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის აგვისტოში საქართველოს ეკონომიკა 5.8%-ით გაიზარდა, რაც თანხვედრაშია ჩვენს მოლოდინთან. ჯამურად, 2023 წლის პირველ 8 თვეში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.0%-ით გაიზარდა. აგვისტოში ზრდა დაფიქსირდა საფინანსო საქმიანობის, მშენებლობის, დამამუშავებელი მრეწველობის და ვაჭრობის დარგებში. ამასთან, რეალური ზრდა შემცირდა უძრავი ქონების, ტრანსპორტის და ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგებში. ჩვენი პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით გაიზარდება 2023 წელს.

მიმდინარე ანგარიში: სებ-ის მიხედვით, 2023-ში მიმდინარე ანგარიში დეფიციტი მშპ-ის 4.9%-მდე გაიზარდა 2022-ის 4.6%-იანი დონიდან. გაუარესება ძირითადად შემოსავლის უარყოფითი ბალანსის ზრდამ განაპირობა, რადგან ადგილი ჰქონდა რეინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდას. საქონლით ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი წლიურად 13.0%-ით გაიზარდა 1.2 მლრდ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 15.3%-ით, ხოლო იმპორტი 14.4%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია მომსახურების პოზიტიური ბალანსის მნიშვნელოვანი, 49.4%-იანი წლიური ზრდა 2023-ში, რაზეც პოზიტიური გავლენა ჰქონდა კომპიუტერული & საინფორმაციო მომსახურების და ტურიზმის სექტორს. წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მე-2 კვარტალშიც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა (მშპ-ის 6.3%). ამასთან, აღსანიშნავია რომ სებ-მა ზრდის მიმართულებით დააკორექტირა 1Q23-სა და 2022 წლის დეფიციტის მაჩვენებლები, რაც მშპ-ის 5.9%-მდე (1Q23-ის პირველადი შეფასება იყო 3.2%) და 4.6%-მდე (წინა შეფასება 4.0%) გაიზარდა.

ჯამურად, 1H23-ში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 5.3% შეადგინა, რაც წლიურ ფრილში შემცირებაა (8.6% იყო 1H22-ში). სებ-ის მიერ განახლებული მონაცემების გათვალისწინებით, ჩვენ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს ვპროგნოზირებთ მშპ-ს 4.5%-ზე (წინა პროგნოზი 3.8%).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 11.1%-ით გაიზარდა 2023 წლის აგვისტოში, წინა თვის 13.6%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 48.0 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, აგვისტოში სესხების პორტფელი წლიურად 14.6%-ით გაიზარდა (+14.5% ივლისში). სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდა, მნიშვნელოვნად, 16.0%-მდე დაჩქარდა (+14.7% ივლისში), ხოლო საცალო დაკრედიტება წლიურად 13.5%-ით გაიზარდა (+14.2% ივლისში); ამასთან, იპოთეკური სესხების პორტფელის წლიური ზრდა 9.9%-მდე შენედა (+11.3% ივნისში). 2023 წლის აგვისტოში სესხების დოლარიზაციამ 41.6% შეადგინა (+1.16პპ წ/წ და -0.84პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 1.7%-ს გაუტოლდა (-0.04პპ წ/წ და +0.01პპ თ/თ). 2023 წლის აგვისტოში საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 20.1%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) 48.1 მლრდ ლარამდე. ვალუტების მიხედვით, აგვისტოში ლარის დეპოზიტები წლიურად 38.0%-ით გაიზარდა (+41.2% ივლისში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიური ზრდა 7.2%-მდე შენედა (+13.3% ივლისში). შედეგად, აგვისტოში დეპოზიტების დოლარიზაციამ 49.7% შეადგინა (-8.36პპ წ/წ და -0.91პპ თ/თ).

2024 წლის ბიუჯეტი: მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი, რომელიც 5.2%-იან ეკონომიკურ ზრდას და 3.0%-იან დეფლაციონს ითვალისწინებს. ამასთან, კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2.5%-იან ნიშნულზე დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოსავლები წლიურად 9.4%-ით იზრდება მშპ-ის 24.9%-მდე და პრივატიზაციიდან მოსალოდნელი შემოსავლები 350 მლნ ლარზე დაგეგმილი 2023 წლის მსგავსად. ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები მშპ-ის 30.5%-ის დონეზე დაგეგმილი, სადაც კაპიტალური ხარჯების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 7.6%-ს შეადგენს (2023 წლის მოსალოდნელი 8.6%-ია). ბიუჯეტის პროექტით მთავრობის ვალი 2024 წელს მშპ-ს 38.2%-ს გაუტოლდება, რომლის კომპოზიციაში შიდა ვალის წილი იზრდება მშპ-ს 11.7%-მდე (2023 წლის 10.7%-დან), ხოლო საგარეო ვალის მცირდება მშპ-ს 26.6%-მდე (2023 წლის 27.7%-დან).


სავალუტო ინტერვენციები: 2023 წლის 25 სექტემბერს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 7.6 მლნ აშშ დოლარი გაყიდა ბაზრისთვის შეთავაზებული 30 მლნ აშშ დოლარიდან, ლარზე გაუფასურების წნეხის მოსახსნელად. ამასთან, წლის დასაწყისიდან დღემდე სებ-ი უცხოური ვალუტის წმინდა მყიდველია, რომელმაც 1.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ჩვენი შეფასებით. გათვით იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	10.5%	10.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	16,997	20,244
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	5,023	6,672
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	13.9%	9.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.3	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	10.4%	4.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	6.1%	3.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	49.7%	39.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაბორი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

ბიუჯეტის დეფიციტი და მთავრობის ვალი



წყარო: ფინანსთა სამინისტრო



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები:
საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 26 სექტემბერს 5-წლიანი 90 მლნ ლარის (33.7 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.050პპ-ით შემცირდა და 8.264% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 3 ოქტომბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

ვალიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	180	60	
1-წელი	180	60	400
2-წელი	384	120	
5-წელი	876	150	7,339
10-წელი	615	240	
სულ	2,235	630	7,739


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 86.97 ფასად (-0.15% წინა კვირასთან შედარებით), 7.32%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 89.65 (-0.32% წინა კვირასთან შედარებით), 7.26%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody საშუალო ფასი /Scope)	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	89.65	250.72
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB-/-	86.97	291.34
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/-/-	99.13	682.70
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	BB-/-/B1	98.39	432.98
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/-/Ba2	99.25	131.68
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/-/-	97.12	851.18

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-27	-/-/-/-	n/a	n/a	n/a
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-25	-/-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-24	-/-/-/BB	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	Ref rate + 4.00%	Dec-23	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-/-	99.99	8.50	n/a
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-/-	100.00	7.00	n/a
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-25	-/-/-/-	99.99	9.00	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-/-	99.93	6.88	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-/-	99.77	8.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-24	-/-/-/B+	99.71	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/-/B+	100.00	8.50	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Feb-25	B-/-/-/-	n/a	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-24	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-26	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-25	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-24	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
SRG Real Estate	USD	20	9.00%	Apr-26	-/-/-/-	99.99	9.00	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-26	BB/-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-26	BB/-/-/-	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-25	-/-/-/BB-	99.61	8.75	n/a
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-25	-/-/-/BB-	99.61	7.25	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.5%	Aug-28	-/BB/-/-	101.23	8.19	n/a
SRG Real Estate	USD	20	9.25%	Sep-26	-/-/-/-	101.26	8.63	n/a

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 36.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.82% წინა კვირასთან შედარებით და +4.09% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 200 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 35.55 - 37.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 59 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 29.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.88% წინა კვირასთან შედარებით და +6.04% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 168 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 29.15 - 30.15 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 41 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 9.84 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.53% წინა კვირასთან შედარებით და +3.25% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 109 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.81 - 10.52 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 77 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	36.90	1,694	37.7%	88.8%	41.7%	2.74x	4.16x	4.50x	0.90x	1.09x	0.92x
TBC	TBC	GBP	29.85	1,646	33.0%	82.7%	31.5%	4.10x	5.08x	4.46x	1.04x	1.17x	1.00x
Halyk Bank	HSBK	USD	13.34	3,638	16.0%	34.7%	20.2%	2.69x	2.60x	2.33x	0.78x	0.70x	0.59x
Akbank	AKBNK	TRY	33.46	173,992	79.4%	197.2%	71.2%	1.40x	3.11x	3.04x	0.55x	0.86x	0.73x
Garanti	GARAN	TRY	53.25	223,650	94.2%	183.2%	77.3%	1.91x	3.70x	3.70x	0.73x	1.20x	0.99x
Isbank	ISCTR	TRY	25.74	257,399	90.5%	242.3%	101.6%	0.84x	4.22x	3.60x	0.60x	1.07x	0.87x
PKO	PKO	PLN	34.72	43,400	23.8%	59.6%	14.6%	10.98x	7.97x	6.63x	1.03x	0.99x	0.93x
PEKAO	PEO	PLN	100.95	26,496	20.7%	65.0%	16.7%	na	5.01x	5.80x	na	0.96x	0.89x
Millennium	MIL	PLN	5.70	6,914	33.9%	72.7%	24.5%	na	2.32x	3.01x	1.04x	1.01x	0.93x
Mbank	MBK	PLN	395.30	16,786	32.3%	94.5%	33.5%	na	4.60x	5.13x	1.10x	1.07x	0.94x
BRD	BRD	RON	15.62	10,886	30.4%	42.0%	20.2%	6.81x	7.34x	8.02x	1.31x	1.39x	1.34x
Banca Transilvania	TLV	RON	22.10	17,650	26.7%	46.4%	25.2%	na	7.22x	7.12x	1.60x	1.48x	1.34x
Komercni	KOMB	CZK	672.00	127,713	-4.4%	8.4%	2.6%	8.36x	8.10x	8.55x	1.21x	0.96x	0.96x
Mean								4.42x	5.03x	5.07x	0.99x	1.07x	0.95x
Median								2.74x	4.60x	4.50x	1.04x	1.07x	0.93x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Georgia Capital	CGEO	GBP	9.84	431	27.3%	63.5%	34.8%	na	na	na	0.38x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.10	440	0.3%	-2.4%	-3.2%	18.33x	na	na	0.99x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	59.70	121,812	44.0%	133.8%	32.4%	1.77x	3.38x	2.59x	0.77x	0.80x	0.59x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	31.50	592	17.8%	50.7%	12.9%	na	5.44x	5.81x	1.00x	0.88x	0.79x
Eurazeo	RF	EUR	56.45	4,472	-11.2%	7.2%	-2.8%	8.89x	9.51x	7.67x	0.78x	0.56x	0.46x
Carlyle Group	CG	USD	30.52	11,052	-0.4%	16.3%	2.3%	8.50x	10.02x	7.54x	1.70x	3.09x	2.11x
Wendel SE	MF	EUR	75.05	3,333	-22.4%	4.7%	-13.9%	6.63x	6.11x	6.03x	na	1.03x	0.93x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.89	1,781	18.8%	18.8%	11.0%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.82	690	11.8%	5.5%	-1.1%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.48	796	1.1%	19.5%	6.8%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	10.65	736	15.3%	0.5%	26.2%	na	na	na	0.65x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.48	247	2.6%	7.1%	7.4%	na	na	na	0.47x	na	na
Mean								8.82x	6.89x	5.93x	0.84x	1.27x	0.98x
Median								8.50x	6.11x	6.03x	0.78x	0.88x	0.79x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საუქმველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ იქნება სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ან დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის და დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლო მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge